სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: „პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება და საგადასახადო დეკლარირება“
პროგრამის სახე: ☒ **პროფესიული მომზადება** ☐ **პროფესიული გადამზადება**
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ **2** ☐ **3** ☐ **4** ☒ **5**
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 9კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15 საათი
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: **მინიმალური - 10 მაქსიმალური - 20**
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: **სრული ზოგადი განათლება**
პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია დაინტერესებულ პირს გააცნოს პირველად სააღრიცხვო დოკუმენტებთან და ელექტრონულ დეკლარირებასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები. მისცემს მას საწარმოში მომხდარი სამეურნეო ფაქტების საფუძველზე შესაბამისი პირველადი დოკუმენტების შედგენისა და დამუშავების, ფინანსური შედეგის გამოყვანის და საგადასახადო ელექტრონული დეკლარირების შესაძლებლობას rs.ge - ზე.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების შედგენა;
- საშემოსავლო გადასახადით, მოგების გადასახადით, ქონების გადასახადით და არაპირდაპირი გადასახადებით დასაბეგრი ბაზის დადგენა;
- კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო დეკლარაციების შევსება;
- შევსებული დეკლარაციების წარდგენა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში;
- საგადასახადო ორგანოს ელექტრონულ პორტალზე წარდგენილი დეკლარაციებისა და გადახდების აღრიცხვის შედეგების შემოწმება.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:
ბუღალტრული აღრიცხვა (ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი 04114-პ)

პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებიც ფლობენ სრულ ზოგად განათლებას. სასწავლო პროცესი ხანგრძლივობაა **9** კვირა, კვირეული დატვირთვა **15** სთ/კვირაში, საკონტაქტო საათების რაოდენობა **135** საათი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სსიპ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ბაზაზე. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან ცენტრის **A** და **B** ინტეგრირებულ სასწავლო გარემოში. სწავლების მეთოდოლოგია მოიცავს: ლექციას (თეორიული მასალის ახსნა სადემონსტრაციო საშუალებების გამოყენებით); დისკუსიას; პრაქტიკულ სამუშაოს (სამუშაო ჯგუფში პრაქტიკული დავალებების/ სავარჯიშოების განსაზღვრა და შესრულება)

განმავითარებელი შეფასებები მსმენელთან ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში. შეფასებისთვის გამოყენებული იქნება შეფასების მეთოდი/ები - პრაქტიკული დავალება.

განმსაზღვრელი შეფასება ტარდება სწავლის **მე - 5** და **მე -9** კვირის ბოლოს. შეფასებისთვის გამოყენებული იქნება: შეფასების მიმართულება - პროდუქტის /შედეგის შეფასება. შეფასების ინსტრუმენტები - პრაქტიკული დავალება.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე (კომპენტენციების დადასტურებაზე) დაფუძნებული სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი 2 ტიპის შეფასებას:

1. სწავლის შედეგი დადასტურდა;
2. სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული მომზადების ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერთიფიკატს.

პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები ხელს შეუწყობს მსმენელების დასაქმებას კერძო სამართლის იურიდიული პირების და სახელმწიფო დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობის სააღრიცხვო სამსახურში.

პროგრამის სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს სრულად დისტანციურად.

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თ ე მ ა ტ ი კ ა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	• პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების სახეები; • პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების შევსების წესი; • პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების შევსება; • ცდომილების არსი და მისი აღმოჩენის ხერხები; • მოხსენებითი ბარათის შედგენა; • პირველად სააღრიცხვო დოკუმენტებში შესწორების შეტანის პროცედურები; • პირველად სააღრიცხვო დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა; • გარიგების ფორმები და სახეები.	1.1	15	ინტერაქტიული ლექცია,	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B
2	• გარიგების პირობების შესაბამისი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების სახეები; • პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების მონაცემების შედარება გარიგების პირობებთან; • პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტებსა და გარიგების პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებები; • კანონმდებლობის შესაბამისად ხელფასით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრა; • კანონმდებლობის შესაბამისად დივიდენდით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრა; • კანონმდებლობის შესაბამისად პროცენტით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრა; • კანონმდებლობის შესაბამისად წყაროსთან დასაკავებელი თანხების დასაბეგრი ბაზის განსაზღვრა; • საშემოსავლო გადასახადის ნაწილში საგადასახადო ვალდებულების გატარება ბუღალტრულ მონაცემთა ბაზებში.	1.1; 2.1	15	პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B

3	• კანონმდებლობის მიხედვით პირის შემოსავალის გაანგარიშება; • კანონმდებლობის მიხედვით იურიდიული პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის გაანგარიშება; • მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზისა და განაკვეთის გაანგარიშება მოგების გადასახადისგან გათავისუფლების შემთხვევების გათვალისწინებით.	2.2	15	პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B
4	• კანონმდებლობის მიხედვით, ქონებით დასაბეგრი ბაზის გაანგარიშება; • კანონმდებლობის მიხედვით, ქონების გადასახადის განაკვეთების გაანგარიშება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის; • კანონმდებლობის მიხედვით, დავალების შესაბამისად ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების შემთხვევების განსაზღვრა. • კანონმდებლობის მიხედვით, დღგ-ით (მათ შორის უკუდაბეგვრის დღგ-ით) დასაბეგრ ოპერაციის, ოპერაციის თანხისა და დროის განსაზღვრა; • კანონმდებლობის მიხედვით, ჩასათვლელ დღგ-ის თანხისა და ჩათვლის პერიოდის განსაზღვრა; • კანონმდებლობის მიხედვით, აქციზით დასაბეგრი ოპერაციის, ოპერაციის თანხისა და დროის განსაზღვრა;	2.3; 2.4	15	ინტერაქტიული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა,	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B
5	• კანონმდებლობის მიხედვით, ჩასათვლელი აქციზის თანხისა და ჩათვლის პერიოდის განსაზღვრა; • კანონმდებლობის მიხედვით, იმპორტის გადასახადით დასაბეგრ ოპერაციის, ოპერაციის თანხისა და დროის განსაზღვრა.	2.4	6	ინტერაქტიული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა,	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B
	განმსაზღვრელი შეფასება	1.1; 2.1 2.2; 2.3 2.4	9	-	**პრაქტიკული დავალება**	A, B
6	• საგადასახადო დეკლარაციების სახეები; • საგადასახადო დეკლარაციების შევსების წესები; • საგადასახადო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევები.	3.1	15	ინტერაქტიული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	A, B
7			10			
	• დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების სისწორე;	3.2	5	ინტერაქტიული ლექცია,	განმავითარებელი შეფასება:	A, B

	• გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში მოსალოდნელ რისკები; • დეკლარაციის წარდგენის ვადები.			პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	
8	• პასუხისმგებლობა დეკლარაციების ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში; • შევსებული დეკლარაციების გაგზავნის პროცედურა; • ქსელის ტექნიკური ხარვეზების შემთხვევაში; • განსახორციელებელი პროცედურები.	**3.2; 3.3**	**15**	ინტერაქტიული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	**A, B**
9	• წარდგენილიდეკლარაციების/გადახდებისაღრიცხვებისსის წორისგადამოწმებისგზები; • სამეურნეო სუბიექტის საგადასახადო ბარათი და მასში არსებული მონაცემები.	**3.3**	**11**	ინტერაქტიული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება	**A, B**
	განმსაზღვრელი შეფასება	**3.1 ; 3.2 3.3**	**4**	**-**	**პრაქტიკული დავალება**	**A, B**

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

(ივსება მხოლოდ ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, რომელიც შემუშავებულია იმ პროფესიულ-საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით)

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამა: **ბუღალტრული აღრიცხვა**	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	**სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი**
1. ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება - 411405	1.1 ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების შედგენა.
2. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები - 411415	2.1 საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ბაზის დადგენა; 2.2 მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზის დადგენა; 2.3 ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზის დადგენა; 2.4 არაპირდაპირი გადასახადებით დასაბეგრი ბაზის დადგენა.

3. საგადასახადო დეკლარირება - 411414	3.1 კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო დეკლარაციების შევსება; 3.2 შევსებული დეკლარაციების წარდგენა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში; 3.3 საგადასახადო ორგანოს ელექტრონულ პორტალზე წარდგენილი დეკლარაციებისა და გადახდების აღრიცხვის შედეგების შემოწმება.

დანართი N1

პროგრამისგანმახორციელებელიპერსონალი

სასწავლებლის დასახელება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მომზადების პროგრამის სახელწოდება: „პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება და საგადასახადო დეკლარირება“

№	პერსონალის სახელი გვარი	კვალიფიკაცია / სამუშაო გამოცდილება
1.	თამარ თევდორაძე	შპს „შინჰოფერ-ვესტი“, შპს „არგო 2020“ და შპს „ვესტ-ვაკე დისტრიბუშენი“ მთავარ ბუღალტერი. ბუღალტრად მუშაობის 10 წლანი გამოცდილება.
2.	მერი დიდბარიძე	2017 წლიდან დღემდე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი. საკრედიტო განყოფილებაში საკრედიტო ექსპერტი.

დანართი N2

პროფესიული მომზადების პროგრამა „პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება და საგადასახადო დეკლარირება“

სასწავლო რესურსი

N	1.სასწავლო ლიტერატურა
1.	საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის №174ბრძანება „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“;
2.	საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის № 72 ბრძანება „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)“ დამტკიცების შესახებ;
3.	ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“;
4.	საქართველოს კანონი „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“;
5.	საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
6.	საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ N1226, 22.11.2007.

	2. ინტერნეტ რესურსი
1	

	3. აუდიო/ვიდეო მასალა
1	

	4. თვალსაჩინოება
1	

დანართი N3

პროფესიული მომზადების პროგრამა „პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება და საგადასახადო დეკლარირება”

ლოკაცია და აღჭურვილობა

ქ. ქუთაისი, ნიკეას მე–2 შესახვევი N 8, აუდიტორია № 102

№	დასახელება	რაოდენობა	საზომი ერთეული	პროფესიულსტუდენტზე/ სასწავლო გარემოზე
	ა ღ ჭ უ რ ვ ი ლ ო ბ ა			
1.	პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი)	20	კომპლექტი	პროფესიულ სტუდენტზე
2.	პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგი და დასკამი)	1	კომპლექტი	სასწავლო გარემოზე
3.	პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი (დაინსტალირებული საბუღატრო სასწავლო პროგრამით)	1	კომპლექტი	სასწავლო გარემოზე
4.	პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი (დაინსტალირებული საბუღატრო სასწავლო პროგრამით)	20	კომპლექტი	პროფესიულ სტუდენტზე
5.	დაფა	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
6.	პროექტორი - დემონსტრირების ციფრული საშუალება	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
7.	პრინტერი (კომბაინი)	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
8.	ფლეშ-მეხსიერება	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
	ნედლეული ნასალები			
1.	საშლელი	1	ცალი	ჯგუფზე
2.	მარკერი	1	შეკვრა	ჯგუფზე
3.	ქაღალდი A4	2	შეკვრა	ჯგუფზე